# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01 - 02/29

ქ. ბათუმი 25 თებერვალი, 2020 წ

**2020-2021 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დუსელდორფის უნივერსიტეტში ბსუ-ს ზოგიერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2020 წლის 21 თებერვლის MES 4 20 00225527 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **დუსელდორფის უნივერსიტეტში** (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) გერმანული ფილოლოგიის მიმართულებით მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით) http://registration.bsu.ge და მატერიალური სახით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - **2020 წლის 24 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით** (10:00 სთ-დან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს კონკურსანტებმა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა გერმანულ ენაში (B1) ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2020 წლის 10 მარტი** - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - **2020 წლის 11 მარტი** (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან (მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

დ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2020 წლის 12 მარტი.**

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);
გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დ) ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ;
3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, სათათბირო ხმის უფლებით, შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების გასაუბრების ეტაპზე დაემატოს ამ ფაკულტეტის დეკანები (როსტომ ბერიძე - ტურიზმის ფაკულტეტიდან, მარინე გიორგაძე-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან).
4. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.
5. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.
7. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში